№ 121. 11 ივნისი, ოთხშაბათი. 1866 — 1880 11 ივნისი, ოთხშაბათი № 121

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

რედაქცია
ალექსანდრის ბაღთან, [illegible] თავში მარცხნივ თ. [illegible] სახლში, № 2.

ხელის-მოწერა
მიიღება „დროების“ და „ივერიის“ რედაქციაში. გარეშე ხელის-მომწერთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверія“

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ერთად | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა“ 2 მან.

ფასი განცხადებისა
დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ასოებით მთლიანად ასოზე ნახევარი კაპ. ჩვეულებრივის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია უსათუოდ ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

## დროება

1 ივნისიდამ წლის დამლევამდინ ღირს ექვსი მანეთი

„დროება“ და „ივერია“ ერთად 1 ივნისიდამ წლის დამლევამდინ („ივერიის“ სამი წიგნი) ღირს ცხრა მან.

(ამ წლის „ივერიის“ პირველი წიგნი რედაქციაში აღარ არის).

არწრუნის ქარვასლაში

ოთხშაბათს, 11 ივნისს

## ბენეფისი

სუფლიორის გრ. ყიფშიძისა

ქართული ტრუპპისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

## კინტო

კომედია სამს მოქ. თ. აკ. წერეთლისა

II

ერთი სურათი დრამისა

„მ ა თ ი კ ო“

ავ. ცაგარელისა

ბილეთები ისყიდება არწრუნის თეატრის კასსაში და აზნაუროვის მაღაზიაში

დასაწყისი 8 საათზე

## კალიის დამარხვა.

ტფილისი, 10 ივნისს.

ქერებში ბევრგან ნამგალი დატრიალებულა, რამდენ თავ-თავსაც წააქცევს, იმდენი მეტი ლუკმა რჩება ხელში გლეხ-კაცს, იმდენს ლუკმას გამოსწირავს წრევანდელს უწყალო მტერს—კალიას.

ამ იმედით წაქეზებული უფრო მარდათა მუშაობს, „ჰოოპუნა“ უფრო მაღალი მოისმის; იძახიან, ნახევარიც რომ გადავარჩუნოთ კალიას, წრეულს ისეთი უხვი მოსავალია, რომ „ქვეყანა ჩაიქცევაო“.

გაიჭრა თუ არა ქერი, ფასიც დაეცა ჭირნახულისა; ხალხს იმედი აქვს, რომ ეს ფასი კიდევ უფრო ბევრათ დაბლა დაიწევს, თუ ბოლომდის ის ხალისი და მეცადინეობა შერჩა, რომელსაც დღემდის იჩენდა კალიის გასაწყვეტათ.

ერთის სიტყვით, იმედი ბევრია და მომავალს უფრო დამშვიდებული მოველით, ვიდრე ამ გაზაფხულს მოველოდით.

მხოლოთ ერთს ყურადღების ღირსს საგანს ნუ დავივიწყებთ: ხალხი ისე უწყალოთა ხოცავს კალიას, როგორც კალია უწყალოთ გაბიბინებულს ყანას ერთს ღამეს აოხრებს, მაგრამ, ამბობენ, ბევრგან დახოცილს კალიას ღრმათ არა მარხავენ, ზოგან კი სრულებით დაუმარხავს სტოვებენო.

არა გვგონია, რომ ეს უკანასკნელი ამბავი მართალი იყოს. ვის არ ესმის რა უზომო ვნების მოტანა შეუძლიან კალიის აყროლებულს მძოვრს; მაგრამ ეს კი დასაჯერებელია, რომ ბევრგან გლეხ-კაცები ყურს არ უგდებენ, ღრმათ ჩაჰფლეს კალია, თუ არა. ოღონდ მიწა კი მიაყარონ, ოღონდ თვალთათვის კი საჩენი არ იყოს და სხვა არა ენაღვლებათ-რა.

აი ამ საგანზედ მივაქცევთ ყველას ყურადღებას, განსაკუთრებით ყურადღებას მაზრის უფროსებისა და იმ ზედამხედველებისას, რომელთაც მინდობილი აქვთ კალიის გაწყვეტა. დახოცილს კალიას ღრმათ ჩაფლვა უნდა, ისე ღრმათ ჩაფლვა, რომ საზიზღარმა სუნმა კალიის მძოვრისამ ზემომდე ვერ ამოაწიოს, თორემ.... თორემ მოისმინეთ:

იტალიაში ერთხელ დიდ-ძალი კალია გაჩნდა; ჯერ მცენარეობა გააწყო, შემდეგ ზღვაში ჩაიხრჩო და იმისმა სუნმა ისეთი ჭირი მოსდო მთელს იტალიას, რომ მილიონამდე ხალხი და საქონელი გასწყვიტა.

ამ გვარივე ჭირი გაჩნდა კალიისაგან 1799 წელს აფრიკის ჩრდილოეთის ნაპირზედ; ხალხი ჯერ შიმშილობამ შეაწუხა; შემდეგ ამ ჭირმა ისეთი მუსრი გაავლო, რომ ეს ქვეყანა უპატრონოთ დარჩა და სამხრეთით შემოსული არაბები დაეპატრონენ.

შიმშილობას, გვგონია, გადავრჩით. რა მადლი იქნება, რომ შიმშილობის მაგივრათ ჭირი გვესტუმროს!

ცოცხალს კალიას თითქო ვიგერებთ და რა დაგვემართება, მკვდარი ვერ მოვიგეროთ!

მ.

## ქალაქის რჩევის სხდომა

9 ივნისს.

ძლივს-ძლიეობით, დიდის გაჭირებით შესდგა გუშინდელი სხდომა ქალაქის რჩევისა: მეათე საათის ნახევრამდინ კანონიერი რიცხვი არ იყო ხმოსანებისა, მხოლოთ მეათეს ნახევარზე მოვიდა ის ორმოც-და-ოთხე ხმოსანი, ურომლოთაც კრება უნდა დაშლილიყო. ზაფხულის სიცხე ჩვენს თვით-მმართველობასაც დაეტყო...

გაჭირებით შესდგა, მაგრამ მაგიერად ისეთ მხურვალე და გაცხარებულის ბაასით გათავდა, რომ გვეგონებოდათ ქვეყნის გადაბრუნებაზედ სჯიანო. აქაც „სიცხის დაჭირება“ შეეტყოთ ჩვენს პატივცემულ ხმოსანებსა...

ბ. სეკრეტრისაგან წინანდელ სხდომის პროტოკოლის წაკითხვის შემდეგ ხმოს. სუნდუკიანცმა წარმოადგინა თავის ცალკე აზრი იმ სესხის (750,000 მან.) შესახებ, რომლის ვალად აღება გაველილ სხდომაში გარდაწყვიტა ქალაქის რჩევამ. ბ. სუნდუკიანცი თხოულობდა, რომ რადგან კითხვების

## ფელეტონი

—

### პოლშელები შავის ზღვის ნაპირზე 1863 წელს *).

ჟურნალის „Русская Старина“-ს 1879 წლის ნოემბრის წიგნში დაბეჭდილია ბ. ბერგის სტატია, სახელად „პოლშის არეულობა 1863 წელს“. ამ საინტერესო სტატიაში ჩვენ ვიპოვეთ ერთი ადგილი, რომელშიაც მოხსენებულია —თუ რა ღონის-ძიებას სხმარობდნენ პოლშის რევოლიუციონერები შავ ზღვის ნაპირას მთიულ ხალხების (ჩერქეზების) აჯანყებისათვის. ეს ჩვენის მკითხველებისათვის საინტერესო ადგილი გადავთარგმნეთ ქართულად და ქვემოთ ვბეჭდავთ.

რედ.

„12-ს (24-ს) აპრილს, 1866 წ.

„მისს ბრწყინვალებას ხელმწიფე იმპერატორის მთავარ-მმართებელს პოლშის სახელმწიფოში.

„ტრაპიზონში მყოფ საზოგადო დესპანის (ღენერალურ კონსულის) კოლეჟსკი სოვეტნიკის მოშნინის მოხსენება.

„თქვენი ბრწყინვალების შტაბის უფროსის თანაშემწემ, წერილით ამ წლის 1-ს (13-ს) თებერვალს, შემატყობინა მე თქვენი ბრძანება, რომ წარმოგიდგინოთ, რამდენათაც შეიძლება ვრცლათ, ცნობა იმ ექსპედიციის თაობაზედ, რომლის უფროსობა ჰქონდა ფრანცუზს მანიანს, რომელიც თავის თავს უწოდებდა „შავს ზღვაზედ მყოფ პოლშის ჯარების უფროსს.

„ბრძანების თანახმად, მაქვს პატივი წარმოგიდგინოთ ცნობანი, რომლებიც შეტყობილი მაქვს საკუთრივ მე სხვა-და-სხვა წყაროებიდამ და ოფიციალურის მიწერ-მოწერიდგან საიმპერიო მისსიისა და კავკასიის მმართებლობის შუა.

„ღენერალური კონსული, კოლეჟსკი სოვეტნიკი ალ. მოშნინი. № 122. ტრაპიზონი, 14 მარტს 1866 წ.“

„მოხსენება პოლშელების ინტრიგებზედ ტრაპიზონში, ჩერქეზების ასაჯანყებლად, პოლშის არეულობის დროს, 1863 წელს.“

„3-ს (15-ს) აგვისტოს 1863 წ. აქ მოვიდა ვიღაც პოდაისკი, თარჯიმანი საფრანგეთის საკონსულოსი, რომელიც იმყოფებოდა ადრიანოპოლში. მოსვლის მიზეზათ იმის მოჰყავნდა სურვილი—ენახა აქ თავისი ძველი ნაცნობები. ბოლოს კი აღმოჩნდა, რომ ეს პადაისკი იყო წარმომადგენელი პოლშის შონდისა (აჯანყებულების მოთავეების—მმართებლობისა) და გამოგზავნილი აქა იარაღის გასაგზავნილად კავკასიის აღმოსავლეთ მხარეს, სადაც მაშინ იმყოფებოდა ჯარი მის იმპერატორ.ებით დიდებულებისა.“

„იმ ხმებით, რომელიც ჩვენ მოგვდიოდა სტამბოლიდამ, იქაურ ჩერქეზებმა აირჩიეს აჯანყებულის მთის ხალხის მოთაურათ ხუსეინ-ფაშა, შთამომავლობით ჩერქეზი, გულადი და გაბედული; ხუსეინ-ფაშა იყო დივიზიონის ღენერალი (ფერიკი) ოსმალოს ანატოლიის ჯარში; ის იყო გარეული იმ შეთქმულობაში, რომელიც მოხდა 1859 წ. განსვენებულის სულთნის წინააღმდეგ და ამისათვის განდევნილი; მაგრამ ახალი სულთნის დროს ისევ ეპატივა და მიიღო მონაწილეობა ჩერნოგორიასთან ბრძოლაში 1862 წ.

„ჩერქეზები ცდილობდნენ, რომ ხუსსეინ-ფაშას სულთანისაგან მისცემოდა ნება კავკაზიაში წასასვლელად. სულთანმა არ მოიწადინა მაგ საქმეში გარევა, რადგანაც ამით აწყენინებდა ჩვენს ხელმწიფეს და უარი უთხრა ჩერქეზებს ამ თხოვნაზედ; ჩუმათ წასვლას კი არ უშლიდა კავკასიაში; მაგრამ ჰუსეინ-ფაშა, თუ არ სულთანის ნება-რთვით, ისე არა ჰყაბულდებოდა წასვლას. ამის გამო ჰუსეინ-ფაშა არ წავიდა. იმის მაგიერათ წავიდა უბიხი, თავადი ბარაყაი ოყა-იზმაილ-ბეი, რომელიც, როდესაც იყო ჩერქეზების დეპუტატთა შორის გაგზავნილი ჩერქეზებისაგან ლონდონსა და პარიჟში, რომ ეთხოვნა მფარველობა ინგლისისა და საფრანგეთის მმართებლობისათვის.

*) „Польское возстаніе 1863 г.“ Русск. Стар. 1879 г. нояб., გვ. 481. Поляки на Черномъ морѣ, იქვე, გვ. 494.

დროს თავსმჯდომარემ დაარღვია წესიო, რადგან ეს საქმე მძიმე საქმეა და ჩვენ არ ვიცით გარკვევით—თუ რისთვის ვსესხულობთ ფულს და რა წყაროებიდამ უნდა გადავიხადოთ ვალი, ამის გამო უნდა გაუქმდეს გავლილ სხდომის გარდაწყვეტილება და ეს საქმე „ხაზიაისტვენნი“ და „სტროიტელნი“ კომისიებს გარდაეცეს განსახილველათაო.

რჩევამ გარდაწყვიტა — შემდეგ სხდომაში მოილაპარაკოს ამ საგნის შესახებ.

მორიგ საგნებზე სჯის დაწყებამდინ ხმოს. მ. პ. ბებუთოვმა შემოიტანა წინადადება, რომ წელს ოთხი ღარიბი ყმაწვილი კაცი ათავებს რეალურს სასწავლებელში კურსსაო და თუ შეიძლება ცოტაოდენი შემწეობა მივცეთო ამათ პეტერბურღში წასასვლელად და იქ უმაღლესს სასწავლებლებში სწავლის გასაგრძობათაო. გზის ფულად ამათ ოთხასი მან. დასჭირდებათ, მაგრამ ქალაქმა რომ თავის მხრით ოცი თუმანი მისცეს, ისიც კარგი შემწეობა იქნებაო.

რჩევამ გადაწყვიტა, რადგან ეს საჩქარო საქმე არისო, ამის გამო თუ მომავალ ორშაბათს სხდომა ვერ შესდგა, ქალაქის გამგეობას მიეცეს ნება, რომ ქალაქის ხაზინიდამ მისცეს ამ ყმაწვილ-კაცებს ოცი თუმანი და შემდეგ რჩევას წარმოუდგინოს დასამტკიცებელათაო.

გაცხარებული ბაასი ნატალია შიოევის ანდერძის თაობაზედ ჩამოვარდა. მოგეხსენებათ, რომ ამ ანდერძის ძალით, შარშან მიცვალებულ ნატ. შიოევისამ მთელი თავის ქონება (300,000 მანეთზე მეტი ღირებული) ქალაქს უანდერძა საკუთრებათ, მაგრამ ანდერძი ისეთის ჩინოვნიკურის „კრიუჩკებით“ არის დაწერილი, რომ ჯერ-ჯერობით ამ ქალაქი ქონებიდამ ზარალის მეტს, ვერაფერს სარგებლობას ვერ ნახავს. ამ ქონების პატრონებათ, სანამ ცოცხალი არიან, ანდერძის ამსრულებლები (დუშეპრიკასჩიკები) ითვლებიან, — ლ. ჰ. ელიომირზოვი, არტ. ალ. თამამშოვი და ივ. თულაშვილი, რომელთაც სრული უფლება აქვსთ, გაჰყიდონ, დააგირაონ ყველაფერი, რაც შიოევისას დარჩა, იმის უვექსილო და უსაბუთო ვალები გარდაიხადონ და სხვ. და სხვ. ამათ ეძლევათ ამ ქონების წმინდა შემოსავლიდამ 20%, შეუძლიანთ მხოლოთ რამდენიმე სომხის ყმაწვილი გამოზარდონ, ქალაქმა კი ხელი უნდა აიღოს შიოევის უძრავ ქონებიდამ დასაფასებელ ფასის გადახდაზედ და სხვ.

(დასასრული შემდეგ №-ში)

## ახალი ამბები

ჩვენ გვითხრეს, რომ ქასპის ზემოთ ძალიან ცოტაღა კალია დარჩენილა; ამის მიზეზით ჭირნახულის ფასს ერთბაშათ უკლია. ზოგან მაგ., ამ ათი დღის წინათ ფუთი პური სამს მანეთათ ფასობდა და ეხლა რვა აბაზამდე დაიწიაო.

ცხადია, ეს გაიაფება იმის მიზეზი უნდა იყოს რომ ბევრს ჩარჩს ორმოებში მრავალი პური ჰქონია შენახული და გაძვირების იმედით არ გამოჰქონდა გასასყიდათ; ეხლა ეს იმედები ჯერ-ჯერობით ვერ შეუსრულდათ და რა მეტი ღონე აქვთ? ცოტას მოგებას უნდა დასჯერდენ, თუმანზედ ხუთს თუმანს ველარ აიღებენ.

* * *

ამ ერთის კვირის წინათ ჩვენ მივიღეთ, ჩვენის ქვეყნის დამშეულთა სასარგებლოთ, სამტრედიის დეპუტატის ბ. არსენ რუხაძისაგან ამ სტანციის მცხოვრებლებში შეკრებილი 72 მან. რადგან სწორეთ დამშეულს რომ იტყვიან, იმისთანა დამშეულები, ღვთით, ამ ჟამად ჩვენში არ მოიძებნებიან და ჩვენ არც ხელის-მოწერა გამოგვიცხადებია ამ საგნისათვის ამის გამო ამ ფულის მიღებამ ცოტა არ იყოს დაგვაფიქრა: არ ვიცით—ვისთვის და როგორ დაგვერიგებინა ეს 72 მან. ბოლოს ხელოსნების თავის ბ. ქაპანაძის შემწეობით, სახელოსნო უპრავაში მოვიხმეთ ქალაქის უფრო გაჭირებული ხელოსნები, ქვრივ-ობლები და 24 სულს დავურიგეთ თითოს სამ-სამი მან. ამათი სია რედაქციაში მოიპოვება.

ფულის გამომგზავნის სურვილისამებრ მოგვყავს აქ შემწირველების სია:

პორფირე მეძმარეიშვილი 2 მან. გიორგი სიხარულიძე 5 მან. მისი შვილი მახარობელ 2, მისი შვილი იორდან 5, მისი შვილი სპირდონ 5, მისი შვილი იასონ 5, ქალი მისი ნინო 2, შვილი მისი ბაბუსი 2, დედა ამათი მართა 3, არსენ რუხაძე 5, აზნ. ბესარიონ ნანეიშვილი 1, ვასილა ახობაძე 3, დიანოსე პაპავა 4, კოსტა ხელაია 1, კოსტა თედორაძე 1, ივანე სიხარულიძე 2, ივანე პაპავა 3, ისიდორე ბუგეშვილი 2, ივანე პაპავა 2, ზალიკა ახობაძე 1, ილიკო წინამძღვაროვი 1, დიმიტრი გეგიშიძე 1, პავლე ბახტაძე 2, სარდიონ მელქაძე 2, გაბრიელ ფოცხვერია 1, იოსებ ოსეფაშვილი 1, ლუკა ლეჟავა 2, ალექსი კომახიძე 1, დათიკა ბაკურაძე 1, ოქროპირ შენგელია 1, გარსევან ლეჟავამ 3 მან. სულ 72 მანეთი.

* * *

ქუთაისიდამ გვწერენ, რომ იტალიიდამ ახლად-ჩამოსულს ქართველ მომღერალს ქორიძეს ამ თვის 7-ს გაუმართავს იქ კონცერტი, რომელზედაც დიდ-ძალი ხალხი დასწრებია. ბ. ქორიძეს, როგორც ჩვენი ქუთაისელი კორრესპონდენტი გვწერს, ჩინებული ხმა აქვსო და იმის სიმღერამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებლებზედაო.

ბ. ქორიძის კონცერტში ქ. მესხსაც მიუღია მონაწილეობა და ეს ორი პირი ამ ჟამად ფოთში, ბორჯომში, აბასთუმანში და ბათუმში მოგზაურობასა და კონცერტების გამართვას აპირებენო. შემდეგ ბ. ქორიძე თფილისში ჩამოვა და აქ გამართავს რამდენსამე კონცერტს.

* * *

ახალქალაქის მაზრის სოფ. ჭილდიდამ გვწერენ, რომ იქაური შკოლის საქალებო განყოფილება შევიწროებულ მდგომარეობაში არისო, რადგან შეძლება არა აქვს იმდენი, რომ ქალებისათვის ხელ-საქმის მასალები იყიდოსო. ადგილობრივ მღვდლის მ. ასათიანის მეუღლე ძალიან გულმოდგინეთ ეხმარება პატარა ქალებსაო, მაგრამ სახელ-საქმო მასალის ნაკლულევანება აბრკოლებს საქმესაო. „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ ვსთხოვეთ შემწეობაო, მაგრამ ყურადღება არ მოგვაქციაო. ამის შემდეგ შკოლის მოთავეებს ხელის-მოწერა გაუმართავთ, მაგრამ ახალქალაქის მაზრის უფროსმა ბატ. დროზდოვმა აღუკრძალა ამ განზრახვით ფულის მოგროვება: კანონის წინაარმდეგიაო, ჰყვლეფავთ ხალხსაო! და ზოგიერთი წარმოუდგენელი რაღაც მიზეზები მოუნახავს და ფულის მოგროვების ნებას არავის აძლევსო...

* * *

დღეს, ოთხშაბათს, არწრუნის თეატრში დანიშნულია სუფლიორის ბ. ყიფშიძის ბენეფისი. თეატრის საქმეში სუფლიორს არა უკანასკნელი ადგილი უჭირავს და ხშირად ჩვენი წარმოდგენები თუ წარმოდგენებს ვგვანან, ამისათვის უნდა უმადლოდეთ სუფლიორს. ჯაფა და შრომა კი, უეჭველია, იმას თითქმის ყველაზე უფრო მომეტებული ეჭირება თავის საქმის შესასრულებლად.

---

„იმ დროებში ინგლისში ჩერქეზების კომიტეტი შეუერთდა პოლშელის ჩერტორიუსკის მომხრეებს, რომელნიც დაარწმუნა იზმაილ-ბეიმ ამ საქმის მოგებაში და ამის გამო იქამდინ მიიზიდა, რომ მოამზადეს ექსპედიცია შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირისათვის. ამ ექსპედიციაში მიიღეს მონაწილეობა, რასაკვირველია დაფარული, საფრანგეთისა და ოსმალეთის მმართებლობამ; პირველთ მისცეს თავიანთი აფიცრები და ინგლისის პაშპორტები, რომლებიც დაურიგეს, როგორც მაგალითად ჰქონდა პადოისკის და სხვ., და მეორეებმა კი (ოსმალოებმა) გამოუჩინეს თავიანთი შემწეობა იმით, რომ ყურადღება არ მიაქციეს ამ საქმეში დამნაშავეთ მოქმედებას.

„24 აგვისტოს პარახოდი „ჩეზოპიკ“, კაპიტანით ქამპელლი, ინგლისის დროშის მფართველობის ქვეშ, გამოჩნდა ტრაპიზონის ნავთ-სადგურზედ და დაუწყო ძებნა იმ დაბარგულს აღკრძალულის იარაღებით ნავს, რომელიც პადაისკის უნდა დაემზადებინა ქერასუნდში, ან აკჩა-ყალეში (ტრაპიზონისმახლობლად). „ჩეზოპიკს“ უნდა მიელო ის კანდრაბანდა, რაც იყო ნავზედ და თითონ ნავიც უნდა მიეყვანა ჩერქეზების ადგილებში.

„ჩეზოპიკი“ მოვიდა აქ გალაცის პატენტითა; მაგრამ ინგლისის კონსულმა მაინც გამომიცხადა, რომ ვერ შევრევა „ჩეზოპიკის“ საქმეებში, რადგანაც იმის ქაღალდებში არავითარი უწესოება არ აღმოჩნდაო. ღენერალ-ღუბერნატორმა ემინ-მუხლისმა, რომელმაც ამ ხანში მიიღო ჩვენის მთავრობისაგან სტანისლავის ლენტი, და რომლის პირ-და-პირი მოვალეობაც იყო მაშინათვე დაეყენებინა ხსენებული პარახოდი და ნება არ მიეცა აღკრძალული საქონლის გადმოღებისა, სრულებით ყურადღება არ მიექცია.

„ამგვარათ „ჩეზოპიკმა“ კარანტინის წესდების მიუხედავათ, გადაასხა აკჩაყალეს ნაპირზედ პოლშელები, ინგლისელები, ფრანცუზები და ჩერქეზები, რომლებმაც ღამე გაატარეს იქა და ორი იმათგანი პადაისკისთანაც კი მოვიდნენ ტრაპიზონში მოსალაპარაკებლად. 25-ს „ჩეზოპიკმა“ გადასცა თავისი ბარგი (თოფის-წამალი, თოფები და სხვა იარაღი) პადაისკისაგან ნაქირავებს ნავს, რომელსაც უნდა მიეტანა ჩერქეზებში.

„ეს ყველა მოხდა ტრაპიზონის თვალ-წინ ქოკატის მახლობლად. ემინ-ფაშამ სრულებით არაფრათ არ ჩააგდო ჩვენი უკმაყოფილობის გამოცხადება ამ მოქმედებაზედ და ამითი დაარღვია პოლიციისა, კარანტინისა და ტამოჟნის დებულებანი; ის ხელმძღვანელობდა იმით, რომ ვითომ იმას არა ჰქონდა ამ საგანზედ არავითარი ბრძანება თავის მმართებლობისაგან, და იმის შეხედვა კი არ მოიწადინა, რომ წინეთ ვინც იყვნენ იმის მოადგილეთ, იმათა ჰქონდათ ეს ბრძანება. უფრო კი უნდა ვიფიქროთ, რომ ემინ-ფაშა მოქმედობდა თავის გემოვნებაზედ, სტამბოლიდამ კი ორგვარი ბრძანება ჰქონდა, სრულებით ერთი მეორის მოპირდაპირე.

„ჩეზოპიკმა“ მოიტანა აქ 28 ბოჩკა წამალი, 12 ყუთი იარაღი, 6 პატარა ზარბაზანი და მოიყვანა 40 ემისარი. 26-ს „ჩეზოპიკმა“ მიიღო წასვლის ნება საფრანგეთის საგენტოდგან და იმავე დღეს მშვიდობიანათ გაბრუნდა სტამბოლისაკენ და თან გაიყვანა ის ნავი, რომელზედაც კანდრაბანდი გადაცალა ზღვის ნაპირზედ. ამითი წაართვა ოსმალეებს მიზეზი იმისი დაჭერისა. რამდენიმე ხნის შემდეგ ნავი დაბრუნდა ჯეგშიდამ, სადაც დაეტოვებინა კანდრაბანდა და ემისარნი.

„13-ს (25) მოვიდა სტამბოლში მეორე კონდრაბანდით დაბარგული ინგლისელების პარახოდი „*Samsoun*“, კაპ. ქიუმინგ, რომელმაც „ჩეზოპიკივით“ გადმოცალა თავისი ბარგი აკჩა-ყალეში; იმის შემდეგ მოელოდნენ მესამე გემს „ლუიზა კრაუშაუს“, *cap. David Miller*; მაგრამ არ მოვიდა, რადგანაც ჩვენი ელჩის მოთხოვნის გამო, ემინ-ფაშა დაიბარეს კონსტანტინოპოლში პასუხის საგებლათ ამ საგანზედ. უმთავრეს ვეზირმა და სხვა ქვეყნების სამინისტრომ დაინახეს, რომ კონტრაბანდი მატულობს და საქმის მოგება კი კავკასიის მთის ხალხისა (აჯანყება) ყოველ დღე უფ-

ამის გამო ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ჩვენი საზოგადოება დააფასებს ბ. ყიფშიძის თითქმის ერთის წლის ერთგულ სამსახურს ქართულს სცენის და ამ სამსახურისათვის ჯეროვანად დააჯილდოვებს იმას.

პიესებიც ისეთია დღეს წარმოსადგენად დანიშნული, რომ იმედი გვაქვს ესეც ბევრს ხალხს მოიწვევს თეატრში.

* * *

გუშინ, სამშაბათს, აქაურ სამხედრო სასამართლოში დაიწყო განხილვა გიორგი მიქელაძისს აქმისა, რომელიც სხვა-და-სხვა საქმეებისათვის ერთს წელიწადზედ მეტია, რაც თფ. გუბერნ. ციხეში ზის.

ამ საქმის გარემოება და სასამართლოს გარდაწყვეტილება ამ დღეებში დაიბეჭდება ჩვენს გაზეთში.

## პასუხი სახჩერელ კორრესპონ. *)

—

წარსულს წელს, მაისში, მე გავხსენი დ. სახჩერეში ორ-კლასიანი კერძო სასწავლებელი იქაური საზოგადოების თხოვნით. ვინ იცის რას არა მპირდებოდენ ისინი, ვისთვისაც კი ჩემი იქ შრომა საჭირო იყო. სასწავლებელს უქადოდენ იმოდენა შეგირდს, რომ მათი დასატევი სახლი ძნელად თუ სადმე იქნებოდა დედა-მიწის ზურგზე. მათის აზრით, მე ორიოდე წლის განმავლობაში მეორე როდშილდი უნდა გავმხდარ ვიყავი.

წარმოიდგინეთ ჩემი ურწმუნობა, მე ესეები როგორღაც არა მჯეროდა, მაგრამ მაინც დავამზადე ყოველივე შკოლის მოსაწყობი ნივთები და ვსცდილობდი მეშოვნა იმისთვის რიგიანი სადგომი. იმ საზოგადოებამ, რომელიც კორრესპონდენტის სიტყვით, იძახოდა ჩემ მისვლაზე „აი გაგვეხსნა“, ისე დამიხშა კარი, რომ მთელს დაბაში ერთის პირის მეტმა შკოლისათვის სახლის ქირით მიცემაც არ ისურვა. ბოლოს შეიკრიბა... ათი ყმაწვილი (გთხოვთ ასი არ გეგონოსთ); ზოგი იმათგანი იყო ჩემი ძმისწული, ზოგი ბიძა-შვილი და ზოგი „ჩხიკვი ყვავის მამიდაშვილი.“ მეტი რაღა ღონე იყო, სწავლა დავიწყე როგორც იქნა; 6—7 თვის განმავლობაში ამ რიცხვმა ოცდა ხუთამდის აიწია. მაგრამ ოთხი-ხუთი კაცის მეტს ფიქრადაც არ მოსვლია თუ მათი შვილების აღზრდა მე ვალად არ მედვა უფასოდ. მხოლოდ არა ვისთან არ გადიოდა: ოთხი-ხუთი კაცის მეტი ფულს არავინ იძლეოდა.

დადგა საშინელი ცივი ზამთარი. თქვენი „განათლებული“ მასწავლებელი ეგდო მშიერ-მწუხარეალი და მუდამ-დღე ჩაჩხრიხინებდა სიცივისაგან გალურჯებულს და ფერ-მიხდილს შეგირდებს. წარმოიდგინეთ მაგ. ამგვარი სურათი: გაკვეთილი დაიწყო; მთელი კლასი სიცივისაგან ცახ-ცახებს და თან სტირის. მეუბნება: შინ წადით, ბავშვებო, ვისაც ძალიან ცივადესთ, გამოიდარებს, დათბება და დაიწყებთ სწავლას. არც ერთი მათგანი არ აცხადებს წასვლის სურვილს. „ჩვენ სწავლა გვინდა და როგორც მოვითმენთო“, ერთ-ხმად მიპასუხებენ შეგირდები.

როგორც იქნება გაკვეთილი გათავდება; გაცივებულ კლასის ოთახიდგან გადავდივარ ჩემს გაყინულს ოთახში. მივუჯდები მეგლს, დამტვრეულს სტოლს და შრომით, შიმშილით, სიცივით დაქანცული ვქლევი მწაჯვლელ გულით მღრღნელ ფიქრებს.

შეურად გაიღება კარი.. ღმერთო ჩემო! ნუგეში ხომ არსაიდამ მომდის! „ბატონო, კ—მ გთხოვათ თუ საწყენათ არ დაგრჩებათ, იქნება სახლის ქირა გვიბოძოთო,“ მეუბნება შემოსული ბიჭი. ეს სიტყვები უფრო მეტად მიწყლებენ ისეც შეწუხებულს გულს. ენა მებმება და რაღაცას ვბოდავ: ახლავე.. ახლავე.. ვილევბი....

ზოგისებულო ბიჭი გადის. ორიოდ დღის შემდეგ მომდის ბრძანება ბ. სასოფლო შკოლების დირექტორისაგან, რომ სადმეთო სკულის მასწავლებელთ სკოლაში ვინმე სასულიერო პირი მოვიწვიო. მაგრამ რითი? რა საშუალებით უნდა ან ეს ბრძანება ამესრულებინა, ან შეშა მეყიდნა, ან სახლის ქირა გადამეხადა და ან სასწავლო ნივთები მომეტანინებინა ქუთაისიდგან, როდესაც არც სწავლის ქირა და არც წიგნების ფასი 5 კაცის მეტს არავის მოჰქონდა? მოდი და ასწავლე!

აი ამ გვარი გახლდათ იმ უიღბალო სასწავლებლის მდგომარეობა, რომელიც მე გავხსენი სახჩერეში, და რომელსაც 9—10 თვის მეტი სიცოცხლე არა ჰქონია. იქაური საზოგადოება, რომელსაც თავიანთ წინაპართ ძლიერების ძეგლათ თვალწინ უდგას „მოდი ნახეს“ ციხე, დღეს ისე დამცირებულა, რომ ერთი ეკლესია ვერ აუგია დაბაში და ერთი ხის ხიდი ვერ გაუკეთებია ყვირილაზე, არამც თუ ჩემი შკოლისათვის ეზრუნა და შეეწევნა მიეცა რამე.

ამის შემდეგ მე დიდ დიდი დანაშაულობა მაქვს, რომ ამდენ დავიდარაბას ვერ გავუძელ და ყოველის მხრით (მართებლობისაგანაც და ქართველთ შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისაგანაც) ხელმოუმართავმა ჩემი თავიც და შეგირდებიც ტანჯვისაგან დავიხსენ და „მივიმალე.“

დავით [illegible] ბაღუშვილი.

*) „დროება“ № 116.

# უცხოეთი

—

**წვრილი ამბები.** ინგლისურ გაზეთს „Times“-ს ქაბულიდამ სწერენ, აქ რამდენიმე ქოკანდელები მოვიდნენ, რომელნიც გვარწმუნებენ, რომ ჩინელებმა უკვე გადაიარეს რუსეთის სამზღვარზე, დაიჭირეს ქულჯის ნაწილი და აიღეს პატარა სიმაგრე ნარინი. მარტო ამისა ჩინელები მთელს ქულჯის ოლქს ჩემულობენო. იმავე ქოკანდლებს ჩაუტანიათ ქაბულში „მიმართვა ხალხისადმი“, რომელიც ქოკანის წარჩინებულ პირებს გამოუცათ მათს ქვეყანაში. ამ „მიმართვით“ ისინი მოიწვევენ ინდოეთიდამ მათს ყოფილს მეფეს ხუდოარ-ხანს, რადგანაც, მათის სიტყვით, ქოკანში ისე ცოტა რუსის ჯარია, რომ საკმაოა ხუდოარ-ხანის მოსვლა, რომ ხალხი აჯანყდეს და განდევნოს ეს ჯარი.

საკვირველია, რომ ეს ამბავი მოყვანილია ერთს რუსულს გაზეთში, რომელიც თავის მხრით, ერთს სიტყვასაც არ ამბობს მისს ვითარებაზედ,

—

„Daily News“-ში დაბეჭდილია მცირე აზიიდამ მიღებული კორრესპონდენცია, რომელიც შემზარავ სიტყვებით ხატავს იქაურ შიმშილობის ამბებს. მაგ. ქ. მოსულში ხალხს სიარულის დროს ქუჩებზე სული ხდებათ და იქვე ჰკვდება, რადგანაც დამმარხველი არავინ არისო.

—

ერთს ავსტრიის ნემეცურს გაზეთს სწერენ ბერლინიდამ, აქ ჰფიქრობენ, რომ ოსმალეთი არც ახლა შეასრულებსო კონფერენციის განჩენს საბერძნეთის და ოსმალეთს შუა სახღვრის გაყვანის თაობაზედ. ოსმალებმა კარგად იციანო, რომ

რო-და-უფრო საეჭვო ხდება და გამოუცხადეს ჩვენს ელჩს, რომ ვითომც „ჩეჩოპიკის“ მოქმედებას ისინი ჰკიცხვენ, რომ ოსმალეთის მართებლობამ თავის დღეში არა სურვება ჩერქეზების აჯანყება და იმათი შემწეობა, რომ პორტა არ არის მადლობელი ტრაპიზონის გუბერნატორისა ამ საქმეში მოქმედებისათვის, რომ ემინ-ფაშა დაპატიმრებულია სტამბოლში პასუხის მისაცემად და თუ თავს ვერ იმართლებს, გადააყენებენ თავის ალაგიდამ და სხ.

„ოსმალეთის მართებლობა დაკმაყოფილდა ემინ-ფაშის პასუხით და ის არამც თუ გამოცვალეს, არამედ წყალობაც კი უბოძეს — მეჯიდიეს ორდენი 1-ის ღირსებისა. ალი-ფაშამ ყოველივე დანაშაული თავის-თავზედ მიიღო და ამბობდა: დროით ვერ შევატყობინე ემინ-ფაშას ჩვენი განკარგულებაო და ეხლა კი ყველა ზღვის პირის მხრივ გამოცხადებული აქეთ, მაგგვარ საქმეების კანდრაბანდის ხომალდები გამოჯრეს რუსეთის კონსულების მეთვალყურეობით. ინგლისის მმართებლობამ თავის მხრით უკმაყოფილება გამოუცხადა თავის დესპანს ტრაპიზონში, და ავრეთვე ბძანება, რომ ღენერალ-ლეიტენანტ-ორის და სხვა ოსმალების მოხელეები მოთხოვნებზე, ნება მისცეს იმ გემების ჩაჩხრეკაზედ, რომლებიც ინგლისის დროშებით იქნებიან.

„3-ს ოკტომბერს დაბრუნდა კანდრაბანდის ნავი გაგზავნილი პადოისკისაგან და მოიტანა სამწუხარო ამბავი, რომ აჯანყებული მთის ხალხი დამარცხებულია და უზრდება არა ბლომად იზმაილ-ში. 17-ს ოკტომბერს სამი ბარჯახი გაგზავნა პადოისკიმ, რათა წამოეღოთ ზარბაზნები და წამოეყვანათ ემისარები. 28 ოკტომბერს აქ მოვიდნენ პირველი ჩვენის იარაღისაგან გამოქცეულთ შესახებ და ამის შემდეგ დაიწყო გადმოსახლება ჩერქეზებისა ოსმალეთში. 18-ს ნოემბერს რამდენიმე პოლშელი დაბრუნდა ჩერქეზებდან.

„საზოგადოთ, ფრანცუზებისა და ინგლისელებისთვის ჩვენი შავი ზღვის ნაპირები იყო [illegible] სახერხო საომარ ალაგებად, უკეთუ იმათ და რუსეთს შუა პოლშელების მიზეზით ომი ატყდებოდა.

„იარაღის მაზიდვა ამ ალაგებში იყო საფრანგეთის ავანტიურისტის მანიანის ზედამხედველობით, რომელსაც ჰქონდა ფული მიცემული სტამბოლის პოლშელების კამპანიისაგან. ეს იყო საფრანგეთის მოქმედება, ინგლისელების დროში მფარველობის ქვეშ. მანიანზედ იბეჭდებოდა სტატიები ზოგიერთს ნემეცურს გაზეთებში, რომლებშიაც ის იწვევდა ყველა პოლშელებს, ვინც კი რუსის სამსახურში არიან, დაანებონ თავი თავიანთ ადგილებს და შევიდნენ იმასთან სამსახურში.

„იმასაც კი ჰფიქრობდნენ, რომ ჩერქეზებს დაეჭირათ ჩვენი სავაჭრო გემები, რომლებიც დადიოდნენ ბათუმსა და ფოთს შუა. ეს ძალიან ადვილათ შესაძლებელი იყო, თუ ჩვენს პარახოდების საზოგადოებას დროზედ ამ აზრის დასარღვევი საშუალება არ ეპოვნა და თითონ ჩერქეზებსა და პოლშელებს შუა მომდგარებული ერთობა ყოფილიყო. მითითონ მანიანმა, ბოლოს, ტყუილ-უბრალო ცდის შემდეგ, რომ კიდევ რამოდენიმე იარაღი გამოეტანა შავ ზღვაზე, საუკეთესოთ იპოვა გახიზნულიყო კონსტანტინოპოლში, საიდანაც გაიქცა მარსელში და წაიღო პოლშის კომიტეტის ფული.

„ამის შემდგომ გათავდა მეცადინეობა, რომლითაც პოლშელებს ჩერქეზებთან შეერთება უნდოდათ ჩვენს წინააღმდეგ. ჩერქეზებმა თავი დაანებეს თავის სამშობლოს და მრავალნი გადმოსახლდნენ. იზმაილ-ბეიმ მაინც მოაწყო თავისი ზარბაზნების [illegible] და ეხლა იმყოფება რუმელიაში. პადოისკი და სხვა პოლშელებიც გაიქცნენ ტრაპიზონიდამ; შემდეგში, როცა ალიერა სომხეთ საქმე, პოლშის შტაბის მოხელე [illegible] ერთი ვინმე [illegible], რომელიც [illegible] იყო უკანასკნელს პოლშის არეულობაში; ეს ეხლაც აქა სცხოვრობს საფრანგეთის მფარველობის ქვეშ.

ტრაპიზონის კონსული [illegible]

თარგ. [illegible]

ოსმალეთის საქმის შესახებ ევროპის სახელმწიფოები თავის დღეში არ იქნებიან „ერთის აზრის." ერთხელ ერთმა ოსმალოს დიპლომატმა თქვა: ნუ თუ ჰფიქრობენ, რომ ჩვენ ვერ გაუძლებთ საბერძნეთის ჯარს? ან და ეგების ეგონოთ, რომ რომელიმე სახელმწიფო ჩვენ ომს გამოგვიცხადებს, იმის გამო რომ ჩვენ იანინას არ დავუთმობთ საბერძნეთს?

ამიტომაც ჩვენ მოვიცდით (ე. ი. კონფერენციის გადაწყვეტილებას არ შევასრულებთ), მანამდი, სანამ ბერძნები არ შეგვეტყებიან, ან და მათ მაგიერ რომელიმე სახელმწიფო გამოგვიცხადებს ომს".

# განცხადებანი

**სლესარნი ზავედენია** გაიოლ ტალახის ქუჩაში, სერგეი მელიქოვის სახლებში, № 3. ვაკეთებ რკინის ბალკონსა, კიბეებსა, საფლავის მოაჯირებსა შენობისთვის შესაკრავ რკინებსა და აგრეთვე ყოველგვარ ზაკაზსა რკინეულისასა იაფ ფასათ.

ხელოსანი დავით გზირიშვი.

(3—1)

**უკანასკნელი გასყიდვა**

თოფები, რევოლვერები, დანები, კალმები, დუხები, საპნები, წინდები ჩულქები, ცხვირ-სახოცები და სხვ. და სხვ.

ინგლისურ მაღაზიაში.

(10—2)

სამხედრო ღიმნაზიის უფროსის კლასის მოსწავლე ამ კანიკულებში **ამზადებს ყმაწვილებს** ამავე სასწავლებელში შესასვლელად.

ადრესი: ავლაბარი, გარდასახოვი, ზაგიბენიის ქუჩა არაქელოვის შენობა № 3 მე-14 უჩასტკა.

(2—2)

**სოფელში და მოგზაურთათვის**

დასაკეცი კრაოტები, კრესლო-კრაოტები, სკამები, წყლის საწმენდი მაშინები, დანები, თეფშები, ჩემოდნები, ჩაი, ბისკვიტები, კანფეტები, ციტრატ-მაგნეზია და თევზის საჭერი ჯოხები ისყიდება **ინგლისის მაღაზიაში**—3 მანეთიდამ 8 მანეთამდინ.

ნამდვილი ინგლისის თოფები და რევოლვერები ისყიდება ინგლისის მაღაზიაში 30% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე.

**წამოსასხმელი! წამოსასხმელი წამოსასხმელი!!**

ინგლისის მაღაზიაში 3 მანეთად 25 კაპეიკად!

წინდები და ჩულქები დუჟინი 2 მანეთიდამ!

(30—2)

დაიბეჭდა და ამ დღეებში გამოიცემა გასასყიდად

ახალი წიგნი

ს ა მ წ ე რ ლ ო

# თაიგული

ტფილისში, ჩარკვიანის წიგნის და აზნაუროვის მაღაზიაში გოლოვინის პროსპექტზე.

ქუთაისში პ. ფ. ზერარდის წიგნის მაღაზიაში.

ფასი თითო წიგნისა ხთი შაური, გაგზავნით სხვა ქალაქებში სამი აბაზი.

(3—2)

**შეკოლადი და კაკაო.**

ფრეი და შვილები, რომლებმაც პარიჟში გამოფენის დროს ოქროს მენდალი დაიმსახურეს, როგორც იქნა ბოლოს მიღებულ იქმნენ ინგლისის მაღაზიაში. იქვე მიიღეს აგრეთვე მრავალი ჩაი.

(10—3)

**შ ე ნ ი შ ვ ნ ა**

რადგან მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და მიღებული წამალი.

თმის გასამაგრებელი

**მაკ - მასტერი**

ერთობ ბევრი ისყიდება, ამის გამო **ინგლისის მაღაზიაში** ეს წამალი ახლა 2 მანეთად ღირს.

(100—3)

# კანტორა

ოდესსის ვაჭრის

# გრ. ზალინოვისა

(ადრესი: ოდესსა, ალექსანდროვის პროსპექტი, ფიშერის სახლი)

ჭყიდულობს და ჭყიდის, კომმისიით, ყოველ გვარ საქონელს.

აგენტურა სხვა-და-სხვა საქონლის გასასაღებელად.

წარმამოდგენელია რუსის და სამზღვარ გარეთის ფაბრიკების, ქარხნების და სავაჭრო სახლებისა.

აქვე ნარდათ ჭყიდის და ჭყიდულობს, გრეთვე კამისიის ფქვილს, საწვრიმალო და კოლონიალურ საქონელს.

(30—13)

**პარუსინა**, ბუმაზეია, ტრიკო, დრაპი, ხავერდი მებელისა და ფაეტონებისათვის, უნაგირები, ფოჩტის ქაღალდი და სხვ. 30% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე, ისყიდება ინგლისის მაღაზიაში.

**მურაბა** გემრიელი, კანფეტიბი, ყველი, მაგნეზია შერბეთი წყურვილისათვის, ჭურჭლეული, ჩაინიკები, გრაფინები და სხვ. და სხვ. 25% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე, ისყიდება ინგლისის მაღაზიაში.

**კარბოლის** პარაშოკი, კარბოლის წყალი და საპონი გადამდებ ავათმყოფობისათვის, მზის საათები დროების საჩვენებლად—ფასი 1 მან.—ინგლისის მაღაზიაში.

(40—5)

# უმთავრესი დეპო

სამუსიკო საკრავებისა (ინსტრუმენტებისა)

იულიუს ჰენრიდ ციმმერმანისა

ს.-პეტერბურღში, დიდი მორსკოის ქუჩა, № 42.

Главное депо, музыкальныхъ инструментовъ

Юлія Генриха Циммермана.

С.-Петербургъ, Большая Морская улица, № 42.

საზოგადოებას ურჩევს საუკეთესო სამზღვარ გარეთელ ფაბრიკებიდამ ახლად მიღებულ სამუსიკო საკრავების (ინსტრუმენტების) ყიდვას.

**სკრიპკები** 2 მან. 50 კაპ. 5, 6, 8, 12, 20, 30, 50, 60 მანეთიდამ 150 მანეთამდე.

**სმიჩოკები** 50. კ. 1 მ. 50 კ. 2, 3, 5, 8 მანეთიდამ 25 მანეთამდე.

**ბუდები** (ფუტლიარი) 2 მ. 50 კ. 5 მ. 50 კ. 6, 7, 10 მანეთიდამ 20 მანეთამდე.

მველი იტალიური და ნემეცური სკრიპკები—600 მანეთამდე.

**პატარა სკრიპკები** ბავშებისათვის 2. 50 კაპ. 30 მანეთამდე.

სკრიპკის **შკოლა** (თვით-მასწავლებელი) 2, 3, 4 და 5 მანეთად.

**ალტები** 9, 15, 25, 50 მან. და უფრო ძვირადაც.

**ვიოლონჩელები** 20, 30, 40, 60, 100 მან. და მეტათაც—600 მ.

ვიოლონჩელოს **შკოლა** 4 მან.

**კონტრა—ბასი** 45, 65, 120 მან. და მეტათაც.

**გიტარა** 3 მ. 50 კ. 5 მ. 50 კ. 10, 15, 20, 40, 50 მ. და მეტათაც 100 მანეთამდე.

**გიტარას შკოლა** (თვით-მასწავლებელი) 1 მ. 50 კაპ. 2 მანეთი და 3 მანეთი.

**ციტრები** 14 მ., 16, 25, 35, 50 მ. და მეტათაც 100 მანეთამდე. ციტრის შკოლა 2 მ. და 3, 50 მ. ნოტები 40, 60 და 90 კაპეიკი თითო რვეული.

**მანდოლინები** 10 მ. 20, 30 და 40 მან. და მეტათაც. შკოლა 5 მანეთი.

**სიმები** ამ საუკეთესო იტალიური საკრავებისათვის **კამერტონები** 40, 50 კ. 1 მ. 50 კ. 2 მ. და 6 მ.

სურდინკები, კანიფოლი და სხვა კუთვნილებანი.

**მეტრონომები** 9 და 12 მან.

**რკინის საკეცი პიუპიტრები**—5 მან.

**რკინის საკეცი პიუპიტრები** სასანთლეებით 6 მან. 8 მ.

**ნემეცური გარმონიები** 4 მ. 4 მ. 50 კაპ. 5 მ. 50 კაპ. 7 მან. 50 კაპ. 10, 15, 20, 24, 30, 40 და უმეტეს ფასიანებიც.

**შკოლა და ნოტები გარმონიისათვის**—50, 75 კ. 1 მან. 1 მან. 50 კ. რვეული.

**კორნეტები პისტონისათვის**—18, 25, 30, 40, 60 მან, 100 მ.

შკოლა (თვით-მასწავლებელი) 1 მ. 50 კ., 4, 5 მან.

**ალგორნები**,—სიგნალის ბუკები ტრომბონები.

**ფლეიტები**—3, 5, 7, 10, 12, 20, 30, 40, 60 მ. და მეტ. ფ.

**შკოლა** (თვით-მასწავლებელი) 1 მ. 50 კ. და 3 მან.

**ნოტები** 40 კ. 1 მ. 50 კაპ. 3 მ.

**კლარნეტები** 6, 8, 10, 15, 20, 30, 40 მ. და მეტი ფ. 60 მ-დე.

**შკოლა** ამისა 4 მან.

**პიკოლო, ჩაკანები, ფლაჟოლეტები. ინგლისური კონცერტინო**—30, 38, 45, 55, 70, 100 მ. და მეტ. ფას. 160 მანეთამდე.

**შკოლა**—3 მ. ნოტები— 50 კ. 75 კ. 1 მ. 50 კ.

**ნემეცური კონცერტინო.** 3, 4, 8, 10, 12, 15 მ. და მეტ ფასიან 30 მანეთამდე.

**შკოლა ამისთვის**—75 კ. ნოტები 40 კ., 1 მან.

**სამუსიკო ყუთები**—2, 4, 6, 10, 25, 30, 40, 55, 75, 90 მან. და მეტ ფასიანები 200 მანეთამდე.

**ფის—გარმონები**—90, 100, 120, 150, 175, 250 მან. და მეტ ფასიანებიცა.

**გარმონი ფლიუტები**—40, 45, 60, 75, 90 მან.

**გარმონი ფლიუტები ორღანოთი**—175, და 225 მან.

**შარმანკები**—8, 12, 20, 30, 40 მან.

**იტალიური შარმანკები**—150, 200, 250 მან.

**პატარა ორგანები** (ჩიტებისთვის)—10, 15 მან.

**დოლები** (ბარაბანი) **ლიტავრიები**, თეფშები (სამუსიკო), **დაფები**, **ბუნჩუკები, კასტანიეტები, ბანდონიონები, მეტალოფონები, გარმონიები და სხვ. და სხვ.**

ვინც სხვა ქალაქებიდამ დაიბარებს რომელსამე ამ საკრავთაგანს, ბეჯითად და დაუყონებლივ შეუსრულებთ მოთხოვნილებას. გამოგზავნის ხარჯი თვითონ მყიდველისაა.

ყიდვა შეიძლება ცალ-ცალკე საკრავებისა და ბევრის ერთადაც.

(Ц. 8,275—79) (2—1)

Дозволено цензурою. Тифлисъ 10 Іюня 1880 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი